ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1105236

ნომერი: AR1192285

თარიღი : 27.01.2014

გაცემის თარიღი : 03.02.2014

გაცნობის თარიღი : 04.02.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ბაგების მიმდებარედ, წყნეთის გზატკეცილის სამხრეთით., (ნაკვ.1/62) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე ქამუშაძე პ/ნ 01030028695
- თბილისი, არჩილ ქურდიანის ქ. #19

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 4.05.2010წ. #01/856 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 27.01.2014, №AR1192285 განცხადებით

მომართა შპს „MG Capital”-ის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა ალექსანდრე ქამუშაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 4.05.2010წ, #01/856 ბრძანებაში ცვლილების შეტანა, კერძოდ, აღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტში დამკვეთად სს „იბერია უძრავი ქონების“ ნაცვლად შპს „MG Capital”-ის დაფიქსირება.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 4.05.2010წ. #01/856 ბრძანებით, ქ. თბილისში, სექტორი (ვაკე), ბაგების მიმდებარედ, წყნეთის გზატკეცილის სამხრეთით (ნაკვ. 1/62)–ში, სს „იბერია უძრავი ქონების“ კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსი #1–ს არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა (სანებართვო მოწმობა #ნ/965–1). მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2013 წლის 19 ოქტომბრამდე, ხოლო დამკვეთად დაფიქსირდა სს „იბერია უძრავი ქონება“.
4.05.2010წ. 01/856 ბრძანების მოქმედების ვადის გასვლის გამო, 18.10.2013წ. #953309 ბრძანებით გაიცა ახალი მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2014 წლის 19 ოქტომბრის ჩათვლით.
განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი 24.01.14 “უძრავ ქონებასთან დაკავშირებული უფლებების გადაცემის შესახებ“ შეთანხმების თანახმად, შპს “MG Capital”-ს გადაეცა ყველა ის სამოქალაქო სამართლებრივი უფლება, რაც სს „იბერია უძრავ ქონებას“, როგორც მენაშენეს, გააჩნდა სამშენებლო მიწის ნაკვეთთან მიმართებაში, მათ შორის, შესაბამისი ნებართვების მოპოვების მიზნით სამშენებლო–საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება შესაბამის ორგანოებთან და სამშენებლო–საპროექტო დოკუმენტაციაში ნებისმიერი ცვლილების/კორექტირების განხორციელება და შეთანხმება შესაბამის ორგანოებთან.
„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან განსათავსებელი შენობა-ნაგებობის მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.
ვინაიდან, შპს „MG Capital” წარმოადგენს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესის მქონე უფლებამოსილ პირს და სამსახურს განცხადებით მომართავს აღნიშნული იურიდიული პირის უფლებამოსილი წარმომადგენელი, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 4.05.2010წ. #01/856 ბრძანებაში (სანებართვო მოწმობა #ნ/965–1), კერძოდ, დამკვეთად სს „იბერია უძრავი ქონების“ ნაცვლად დაფიქსირდეს შპს „MG Capital".

2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 4.05.2010წ. #01/856 და 18.10.2013წ. #953309 ბრძანებებთან ერთად.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარატავას ქ. #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;